



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 8

10/01/2019

ქალაქი ბათუმი

8-05-4-201901100939



არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ის 2019 წლის საშტატო განრიგის, თანამდებობრივი სარგოებისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის ტარიელ ნაკაშიძის 2019 წლის 9 იანვრის №25-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ის 2019 წლის საშტატო განრიგი, თანამდებობრივი სარგოები და ხარჯთაღრიცხვა დანართი №1 და №2 შესაბამისად.

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ. ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ პირებზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

